

**“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ”**

მუხლი 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე – 4 100 ლარი;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი – 3 400 ლარი;

გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 3 100 ლარი.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების თაობაზე” (საკანონმდებლო მაცნე, N 56 28.12.05 I ნაწილი).

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი